რევაზ ლორთქიფანიძე
Revaz Lordkipanidze
Реваз Лордкипанидзе

სალექციო-მეთოდოლოგიური მასალა მენეჯერული ხარჯებისა და გლობალური საფინანსო კონტროლის საკითხებზე

The Lecture-Methodological Material on the Issues of Managerial Costs and the Global Financial Audit

Лекционно-методологический материал по вопросам управленческих затрат и глобального финансового контроля

თბილისი
2016

მსოფლიო მეურნეობისა და საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების სპეციალიზაციით ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის, საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის – რევაზ ლორთქიფანიძის "სალექციო-მეთოდოლოგიური მასალა მენეჯერული ხარჯებისა და გლობალური საფინანსო კონტროლის საკითხებზე" წარმოადგენს წმიდა ქაშვეთის ტაძარში მოღვაწე მამა ღვთისოს (შალიკაშვილი) კურთხევით დაწყებული კვლევების გაგრძელებას მიკროეკონომიკისა და მსოფლიო ეკონომიკის პრობლემატიკაზე.

განკუთვნილია მიკროეკონომიკური მენეჯმენტის, საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობებისა და, ზოგადად, ეკონომიკის ქრისტიანული საფუძვლების საკითხებით დაინტერესებული ეკონომისტების, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, უნივერსიტეტ გეომედის, თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის, თბილისის ახალი საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტებისა და მასობრივი მკითხველისათვის.

რედაქტორი – ეკონომიკის დოქტორი, პროფესორი დ. ჩლაიძე

რეცენზენტები:

ეკონომიკის დოქტორი, პროფესორი ს. ფეტელავა;

ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადადემიის აკადემიკოსი რ. სარჩიმელია.

ISBN 978-9941-0-9382-1 (PDF)

სალექციო-მეთოდოლოგიური მასალა მენეჯერული ხარჯებისა და გლობალური საფინანსო კონტროლის საკითხებზე

ეძღვნება დონალდ ტრამპის სამაგალითოდ დემოკრატიული
არჩევით გაჩენილ შანსს გლობალური სიღარიბისა და მასობრივი
კონფლიქტების მინიმიზებისათვის

Посвящается предоставленному примерным демократическим
выбором Дональда Трампа шансу для минимизации
глобальной бедности и массовых конфликтов

Dedicated to the new chance by the exemplary
democratic choice of Donald Trump for the
minimization of a global poverty and mass conflicts

თავისუფალი ბაზარი უნიკალური ფენომენია თავისუფალი საერთაშორისო კონკურენციისა და რაციონალური მიკროეკონომიკური ხარჯების (მ.შ. მართვაზე) გარემოს შესაქმნელად, მაგრამ ამ თავისუფალ ბაზარს დაცვა უნდა, ვინაიდან, ის მნიშვნელოვნად დეფორმირდება სხვადასხვა ფარული შეთანხმებების, მონოპოლიებისა თუ გახანგრძლივებული კონფლიქტების დროს.

მენეჯერული ხარჯების გააზრება მეტად მნიშვნელოვანი საკითხია, ვინაიდან, ხშირ შემთხვევაში, მისი არსებითი გადამეტება პირველხარისხოვანი ფაქტორია და განსაკუთრებით აზიანებს კეთილსინდისიერი ბიზნესის საჭირო წარმატებებსა და ამ საფუძველზე შეჭირვებულთათვის შემწეობის პროგრამების დაფინანსებასაც.

ჩემს შრომებში გამოთქმული პოზიცია მკითხველისთვის, ვფიქრობ, კარგადაა ცნობილი და გასაგები - მაცხოვარი სიკეთე-მოწყალებისაკენ მოგვიწოდებს, მაგრამ ზოგს შეიძლება არ ესმოდეს, რომ სწორედ აქაც გვჭირდება განსაკუთრებული წინდახედულობა და ეკონომიკური ანაგარიშიანობა. არ არსებობს ნორმალური ოჯახი, ორგანიზაცია (მ.შ. სამეწარმეო) და, საერთოდ, ხალხი ან, ზოგადად, რელიგია,

რომელიც სიკეთის საწინააღმდეგო სიძუნწის, ბოროტებისა და ძალადობისაკენ მოუწოდებს, მაგრამ სტერორიზმის გამწვავების თანამედროვე ეპოქაში, ძალზე საგანგაშოა, რომ არიან ადამიანები, რომლებიც თავიანთ მცდარ მოქმედებებს რელიგიის "კეთილი" მიზნებით ნიღბავენ. მეტი სიფრთხილეა საჭირო ამგვარი "სიკეთის" მკეთებლებთან და თავადაც სიკეთის გაუაზრებლად უზომოდ გაღებასაც მოვერიდოთ. სიკეთესაც კი ზომიერება უნდა - თუ ერთ დაუმსახურებლად მომთხოვნზე (შესაძლოა, ტერორისტზეც) სიკეთეს მოთხოვნისამებრ დიდი და თუგინდ მცირე მასშტაბებით გავცემთ, მრავალ სხვას შეიძლება მოვაკლოთ ასეთი ქმედებით. დაზოგვა, ეკონომია და აღმშენებლობა აუცილებლად უნდა დავუპირისპიროთ გაუაზრებელ მფლანგველობასა და მომხვეჭელობასაც.

მიკროეკონომიკური მენეჯმენტის, საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობებისა და, ზოგადად, ეკონომიკის ქრისტიანული საფუძვლების საკითხებით დაინტერესებული სტუდენტებისა და მკითხველისათვის, უნდა განიმარტოს, რომ, უფლის ობიექტური ნებით, თავისუფალი ბაზრის ეფექტიანი ფუნქციონირებისათვის, პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს მშვიდობის ხანგრძლივად შენარჩუნებასა და ბაზრის ფუნქციონირების მაქსიმალურად გამჭვირვალე პირობებს. გამჭვირვალობა და ფარული შეთამხმებების მინიმიზება შესაძლებელია მხოლოდ კვალიფიციური გლობალური ანტიმონოპოლიური და საფინანაო კონტროლის პირობებში. საერთაშორისო საფინანსო კონტროლის ორგანიზაცია უკვე შექმნილია და მოქმედებს საკმაოდ ეფექტიანად, ანტიმონოპოლიური კი - ჩვენს მიერ საკითხის არაერთგზის დასმის მიუხედავად, ჯერ კიდევ ვერ იქმნება, საკითხის სირთულიდან გამომდინარე.

უმაღლესი აუდიტორული ინსტიტუტების საერთაშორისო ორგანიზაცია INTOSAI უკვე 192 ქვეყანას მოიცავს, თუმცა, მის ფუძემდებლურ პრინციპებს ყველა ჯერ კიდევ სრულად არ ითვალისწინებს ან არის შემთხვევები, როცა კანონმდებლობის პროგრესულობა არ შეესაბამება რეალურ მდგომარეობას, ანუ საკანონმდებლო ჰარმონიზება მხოლოდ ფორმალურად მიმდინარეობს.

ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით, ჩვენს მიერ, წაკითხულ იქნა ლექციების კურსი, სადაც, კონკურენციის ობიექტური კანონზომიერების ჩვენს ინტერპრეტაციასა

[6] და არტურ ლაფერის საგადასახადო პროპორციის პრიორიტეტულ მხარდაჭერასთან ერთად, წარმოვაჩინეთ აშშ-ს ნამდვილად სამაგალითო საფინანსო აუდიტის სისტემა, რომელიც მაქსიმალურად დამოუკიდბელი და კომპეტენტურია და სასიკეთო გავლენას ახდენს პრეზიდენტის ადმინისტრაციასა და, ზოგადად, პოლიტიკურ პროცესებზეც კი [დანართი 1]. ლექციების ციკლი გაგრძელდა პროდუქტიულობაზე ხარჯების ცვლილებების მრავალფაქტორული ანალიზის შესახებ [დანართი 2], ტოპრენტაბელური დარგების შესახებ თანამედროვე პირობებში [დანართი 3], ჯანდაცვითი ბაზრისა და პროგრამების სპეციფიკის შესახებ [დანართი 4], მუდმივი და ცვლადი ხარჯების ოპტიმალური თანაფარდობისა და მენეჯერული ხარჯების მაგალითებზე პრაქტიკაში [დანართი 5], აქციების შეძენის ხარჯებსა და საბაზრო კაპიტალიზაციის დონეზე [დანართი 6], ფულის მიმოქევის შესაძლო რისკებზე ხარჯების ზრდის მიმართებით [დანართი 7], სახელმწიფო დოტაციების აუცილებლობის შესახებ ბაზრის წონასწორობის დარღვევის ზოგიერთ შემთხვევაში [დანართი 8], მეწარმეობის სამართლებრივი ფორმების გავრცელებასა და ეკონომიკურ ეფექტიანობაზე [დანართი 9]. ყოველ ლექციაზე, თეორიული საკითხების განმარტებასთან ერთად, სტუდენტებს მიეცა პრაქტიკული ხასიათის სავარჯიშოებიც, რომელთა ამოხსნის დისკუსიურ პროცესში, ცოდნის განმტკიცებასთან ერთად, ორიგინალური დასკვნები დაიბადა სტუდენტების ინტერესით განპირობებული ჯერ კიდევ გულუბრყვილო და ამავდროს საზრიანი შეკითხვების შედეგად. ამასთანავე, ჩვენი აზრით, არსებითი შედეგების მისაღწევად გრძელვადიან სტრატეგიაში, სწორედ პრაგმატული და უმნიშვნელოვანესია, რომ ლექციები მიზნად ისახავდნენ ახალგაზრდებში პროფესიული სიყვარულისა და ადამიანების მიმართ განსაკუთრებით მზრუნველი დამოკიდებულების ფორმირებას.

სკოლის წლების შემდგომი გამოცდილებით, როცა განსაკუთრებით წარმატებულად მიყვარდა მათემატიკა და ეკონომიკა, ვერანაირად მოვახერხე ცნობილი პოლიტიკური წნეხის პირობებში ბიზნესიდეების პრაქტიკული რეალიზება. მრავალი მეწარმე მართებულად გაემგზავრა მაშინ საზღვარგარეთ, როცა ამ წნეხის წინაპირობები და სუსხი იგრძნო. ოჯახური პირობების გამო, საზღვარგარეთ გამგზავრება ვერ შევძელი და ახლა ვთხოვ უფალს და დიდ იმედს ვიტოვებ, რომ განვითარებული მეცნიერებატევადი მანქანათმშენებლობის ბიზნესისა

(სხვათაშორის, ჩემი ერთ-ერთი უმთავრესი სპეციალიაზაციაა, რომელიც საქართველოში საჭირო მასშტაბებით ფაქტიურად არ გამოიყენება) და მისი შესაბამისი პოლიტიკურ-ეკონომიკური ზედნაშენის შექმნის არსებითი წინაპირობა უკვე ნამდვილად შეიქმნება საქართველოში. თანამედროვე სტუდენტებმაც უნდა გაითავისონ, რომ აღნიშნულის გარეშე ქვეყნის რეალური ეკონომიკური დამოუკიდებლობა და მასობრივად მძლავრი კერძო მეწარმეობა ნამდვილად ვერ გვექნება.

თეორიულ შრომებში არაერთხელ დამისვამს საკითხი ახალი ტიპის – მეტად ინდივიდუალური მენეჯმენტის საჭიროებისა და საერთაშორისო ანტიმონოპოლიური მექანიზმების ამოქმედების აუცილებლობაზეც, რაც, თავის მხრივ, საუკეთესო საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით, მენეჯერული ხარჯების მრავალფაქტორულ ანალიზსა და ფინანსური აუდიტის მექანიზმების არსებით დახვეწასაც საჭიროებს.

ცენტრალიზებული საგეგმო ეკონომიკის სისტემური რეფორმირების პერიოდში, ჩვენი შეფასებით, მიკროეკონომიკის მენეჯერულ, მაკროეკონომიკის სახელმწიფოებრივ, საერთაშორისო რეგიონალური საბაზრო ინსტიტუტებისა და მათი კავშირურთიერთობების დონეებზე მთლიანად 23%-ული პუნქტით გაიზარდა მსოფლიო ეკონომიკის მართვის პროცესების სახელშეკრულებო საფუძველი.

უფრო მეტიც, ჩვენი შეფასებით, ფიქსირდება სახელშეკრულებო საფუძვლის ზრდის კანონზომიერება, რაც, ასევე ჩვენი აზრით, უსასრულო პროცესი იქნება, თავის მხრივ, საბაზრო ეკონომიკის მზარდი გამჭირვალობის კანონზომიერი პროცესების შედეგად და პარალელურად.

ცნობილი ეკონომისტი, ნობელიანტი რ. კოუზი აღიარებულია, როგორც ხელშეკრულებითი ურთიერთობების ინსტიტუციონალური საფუძვლებისა და მათზე ე.წ. ტრანზაქციული ხარჯების მკვლევარი [1; 2].

სადღეისოდ, ოფიციალური სტატისტიკის და სხვადასხვა ექსპერტული შეფასებების განზოგადებით [3; 4; 5], ვლინდება, რომ სახელშეკრულებო საფუძველზე ხარჯებმა დაახლოებით 50%-ს გადააჭარბა. ამ ხვედრიწონის ზრდის ტემპი,

ბუნებრივია, შენელებულია, მისი სულ უფრო დიდი მასშტაბების გამო, მაგრამ ზრდის პროცესი არ შეწყვეტილა და, დარწმუნებული ვართ, არც შეწყდება.

გლობალური მასშტაბებით, მთლიანი მენეჯერული ხარჯები რაოდენობრივად სულ უფრო უახლოვდება ხელშეკრულებებზე ტრანზაქციულ ხარჯებს, მაგრამ ყოველ კონრეტულ სიტუაციაში ეს, რა თქმა უნდა, ასე არ არის.

ცალკეული შეფასებებითა და ცალკეულ შემთხვევებშიც, ტრანზაქციული ხარჯები შეიძლება ასოცირდებოდეს, როგორც მენეჯერული ხარჯები მცირეოდენი ცდომილებით, მაგრამ, ვფიქრობ, დამეთანხმებით, რომ აღნიშნული ხარჯები სრულად იდენტური არ არის და ვერც იქნება.

მენეჯერულ ხარჯებში დამატებით უნდა გამოვყოთ ოპერატიული ადმინისტრაციული ხარჯები (ტოპმენეჯერული აპარატი სხვადასხვა ვიზიტების მომზადების მნიშვნელოვანი დანახარჯებით, კადრების სამსახური, ბუღალტერია, საერთო კანცელარია, მარკეტინგის დეპარტამენტი), მენეჯმენტისა და მათი დამხმარე სამეურნეო მუშაკების (მძღოლები, დამლაგებლები, დაცვისა და კვების ბლოკის მუშაკები და სხვ.) სარგებლობაში არსებული ძირითადი კაპიტალის ამორტიზაცია, ამავე ძირითადი კაპიტალის იჯარა (არსებობის შემთხვევაში), ინოვაციურ მეცნიერულ კვლევებზე ხარჯები, აუდიტორული მომსახურების ხარჯები, საშუალო და დაბალი რგოლის მენეჯმენტისა და სამეურნეო პერსონალის ხელფასი, სხვადასხვა საკონსულტაციო დახმარებების ანაზღაურება, ინფლაციაზე დანაკარგები, ჯარიმები, მარაგების გაუფასურების შედეგად განპირობებული ზარალი, სხვადასხვა სარეკლამო ხარჯები, ქონების გადასახადის ნაწილი მენეჯმენტის სარგებლობაში არსებული ქონების წილის შესაბამისად და სხვ.

არსებული სტატისტიკური ბაზის განზოგადებისა და ექსპერტული შეფასებების შედეგად [იქვე], ჩვენს მიერ გამოვლინდა, რომ მენეჯერული ხარჯების ოპტიმიზება უალტერნატივოდ უმთავრესი რეზერვია ბიზნესის წარმატებულობისათვის საქართველოს ჯანდაცვაში (სამაგალითად აღვნიშნავ სასიცოცხლოდ ყველაზე მნიშვნელოვან ამ დარგს), ვინაიდან, ის, ჩვენი გაანგარიშებებით, მინიმუმ 10-12%-ით გაზრდის სამედიცინო მომსახურების მწარმოებლურობას და აღნიშნულზე 3-4%-ული პუნქტით მეტად შეამცირებს ჯანდაცვითი პროდუქტების თვითღირებულებასა

და, შესაბამისად, მომსახურების ტარიფებსა და მოსახლეობის ხელმისაწვდომობას ფასებთან მიმართებაში.

მოგეხსენებათ, რომ "მენეჯერული საქმიანობა – ანუ არგუმენტირებული დაგეგმვის, კონტროლის, მოტივაციისა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესი, ბუნებრივია, მართვის უმაღლეს, საშუალო და ქვედა დონეებზე ურთიერთდაკავშირებული უნდა იყოს, თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ მიკროდონეებზე წარმოებული მენეჯმენტი მოკლებული უნდა იყოს თავისუფლებას და მნიშვნელოვნად უნდა იყოს დამოკიდებული მხოლოდ ზემდგომ ეშელონებში მიღებულ გადაწყვეტილებებზე" [7, გვ. 11].

ცნობილია, რომ "მენეჯმენტი არ არის ქართული წარმოშობის სიტყვა, მაგრამ ქართველმა მენეჯერებმა და ზოგაგადად მმართველებმა (მ.შ. პოლიტიკოსებმა) მსოფლიოს უნიკალური მაგალითები მისცეს გასააზრებლად, რაც, დადებითი გამოცდილების გამრავლების მიზნით, გულდასმით მოკვლევებსა და განზოგადებებს საჭიროებს, რაზეც მრავალ მომავალ თაობასაც მოუწევს ფიქრი და პრაქტიკული მუშაობა. ზოგადად, მენეჯმენტი არის ბიზნეს-ორგანიზაციული საქმიანობა და ის შეიძლება განვიხილოთ, როგორც წარმოებისა და მომსახურების მეთოდების განსაზღვრა და ტექნიკა-ტექნოლოგიისა და ადამიანური რესურსების განვითარების კანონზომიერებათა შესახებ ცოდნის სისტემა" [იქვე, გვ. 15].

ნაკლებხარჯტევად და, შებამისად, "ეფექტიან მენეჯმენტში უნდა ხერხდებოდეს მართვის სფეროში მოქმედი კანონზომიერების მაქსიმალურად სრულყოფილი შესწავლა და სამენეჯერო საქმიანობაში მოღვაწენი არ უნდა შეუშინდნენ სიახლეებს და მათ ადეკვატურად სწრაფ (ოღონდ გააზრებულ) დანერგვას ბიზნეს-ორგანიზაციებში" [იქვე].

საბაზრო რეფორმებამდე, მიკროეკონომიკური სუბიექტები, ფაქტიურად, ხელფეხშეკრულები იყვნენ თავიანთ გადაწყვეტილებებში და ცენტრი აბსოლუტურად სრულად ფლობდა და მართავდა მათ საკუთრებით და ფინანსურ ასპექტებში.

მიკროეკონომიკური მენეჯმენტი სულ უფრო დამოკიდებული ხდება მართვის საკუთარ უნარებზე, ვინაიდან აღარ არსებობს “ყველაფერზე მოფიქრალი ცენტრი” და მენეჯმენტი ვეღარ დაელოდება მხოლოდ ცენტრში მიღებულ გადაწყვეტილებებს.

დამოუკიდებლობის ზრდის გამო, იზრდება მიღებულ გადაწყვეტილებებზე პასუხისმგებლობაც და, ამიტომაც, მიკროეკონომიკური მენეჯმენტი, მ.შ. განსაკუთრებით სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან ჯანდაცვაშიც, სრულად პასუხისმგებელია და ასევე სრულფასოვნად და ოპერატიულად უნდა ერკვეოდეს მაკროეკონომიკური პროცესების გავლენის რისკებში, შესაბამისად, ინფლაციით მიღებული დანაკარგები თუ კანონმდებლობის დარღვევებისათვის ჯარიმები მენეჯერულ ხარჯებად უნდა აღვიქვათ და მათი მინიმიზებისათვისაც უნდა ვიზრუნოთ. უფრო მეტიც, გონივრული მენეჯმენტის პირობებში, ინფლაციაც კი, ცალკეულ შემთხვევებში, სასიკეთოდაც შეიძლება იქნეს გამოყენებული.

ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით, მენეჯმენტი მაქსიმალურად უნდა ეცადოს ქონების გადასახადის მინიმიზებასაც, უსარგებლო ქონებისა და ზედმეტი ფუფუნების საგნების შესაძლოდ სრულად “მოშორების” (გაყიდვის) გზით. წარუმატებული ბიზნესის გაკვეთილები გვიჩვენებს, რომ ქართული იუმორით თუ ვიტყვით, ზოგი “უნახავი მენეჯერი” რეფორმებს თავისი კაბინეტის მაღალი სტანდარტებით მოწყობითა და გართობით იწყებს, საქმიანი მენეჯერები კი – რეალური საქმეებით.

ეკონომიკური კრიზისის განსაკუთრებული გამწვავების წლებში, საბაზრო რეფორმების დასაწყისშივე, როცა კომპიუტერიც მოევლინა კაცობრიობას და, ბუნებრივია, ეკონომიკური ხასიათის ქართული შრომები ჯერ კიდევ არ იყო განთავსებული ინტერნეტსივრცეში და ზოგი ამას სკეპტიკურად უყურებდა ან საზოგადოებრივი კრიტიკისა და რისხვის შიშით უფრთხოდა კიდევაც, მაქსიმალურად გულწრფელად ვეცადე უფასოდ მიმეწოდებინა სტუდენტებისა და დაინტერესებილი მკითხველისათვის ჩემს მიერ მომზადებული ცალკეული შრომები, სახელმძღვანელოები, სალექციო-მეთოდური მასალები და პრაქტიკული ხასიათის სავარჯიშოები [6; 7; 8], რომლებიც, ბუნებრივია, ვერ იქნებოდნენ დაზღვეული

ხარვეზებისაგან. შესაბამისად, ყოველთვის მოხარული ვიქნები საქმიანი რეკომენდაციებისათვის მომავალში.

სადღეისოდ, მენეჯმენტის სახელმძღვანელო ზოგადთეორიული პრინციპები და პრაქტიკული სავარჯიშოები სულ უფრო უხვადაა წვდომადი ინტერნეტში და ყველა დაინტერესებული მენეჯერი აქტიურად უნდა ეცნობედეს მათ, რაც საშუალებას მისცემს ბიზნესის თანამედროვე მმართველებს, რომ ყოველ კონკრეტულ სიტუაციაში შესაძლოდ ოპერატიულად მიიღონ საჭირო და, ხშირ შემთხვევაში, აუცილებლად ორიგინალური კვალიფიციური გადაწყვეტილებები.

გამოყენებული წყაროები

1. რ. კოუზის შესახებ https://en.wikipedia.org/wiki/Ronald_Coase

2. R. Coase, The Nature of the Firm, Economica, 4 (16), 386-405, 1937.

3. მსოფლიო ბანკის ოფიციალური ინტერნეტგვერდი http://www.worldbank.org

4. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური http://www.geostat.ge

5. ინტერნეტქსელში არსებული ინფორმაციები მენეჯერულ და ტრანზაქციულ ხარჯებსა და ფინანსური კონტროლის (აუდიტის) საკითხებზე.

6. რ. ლორთქიფანიძის შრომები https://en.wikipedia.org/wiki/Revaz_Lordkipanidze

http://revaz-lordkipanidze.simplesite.com

7. რ. ლორთქიფანიძე, მენეჯერული ხარჯები ჯანდაცვაში (სახელმძღვანელო).

- http://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/11405

8. რ. ლორთქიფანიძე, დ. ჩლაიძე და სხვ. ნოვატორული არაორდინარული მენეჯმენტი უახლოესი სტრატეგიისათვის.

- http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/29381




2012 - 2016 წწ.
Opt
P
Q
A₀ = ვ × ფო × ხანგრ × ფს. ნაყოფ.


ROE
R
ეკონომიკა
ჯანდაცვა
საკვებიდან
ელექტროენერგია


P
D
Q
S
R


C
TC
VC
FC
Q
C ხარჯები
Q
TC
FC
VC
MC
ATC
TC/Q
0
60
60
0
80
∞
1
140
60
80
40
140
2
180
60
120
90
MC
MR
Q
(1910-2013)
1. ადმინისტრაციული ხარჯები
2. ამორტიზაცია
3. იჯარა
4. საბანკო ჯარიმები
5. ...
7. ჯარიმები
8. მარაგების გაუფასურება
9. ინვენტარი
10. ...
+ ინვენტარი


P = div₀(1+g) / r − g
P
r
g
FV = PV(1+R)^t
d = (Σd + (FV − PV)) · 100 / PV


MV=PQ
V = ययउ(ए,उ) / M2
T
30-40%
I


P
Q
(1+0,01)(1+0,02)(1+0,03) = 1,061
6,1%
4P = 26 = -2P+40
1,184
Q = 4P - 26
118,4%
6P = 66
P = 11
Q = -2P+40
(2;7)
(21,2)
(0;6,5)
(40;0)
Q = 4(P+2) - 26
Q = -2P+40
(1,6x3,2) 5 amb. =


ეკონომიკური
ეფექტიანობა
საამოიოლებლიანი ფონდი